ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N91

ქ.თბილისი 25 ნოემბერი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

გიორგი ბირბიჩაძე

ოთარ გრიგოლია

ანა ლაშხი

მიხეილ მესხი

თინათინ ნიბლოშვილი

ვაჟა ოთარაშვილი

ნინო რუხაძე

დავით უთმელიძე

გიორგი ჩაკვეტაძე

ვლადიმერ ძნელაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ილია ჯიშკარიანი

ქეთევან ჯოხაძე

ლევან არველაძე

გულია გოცირიძე

ლევან დარახველიძე

ლილე ლიპარტელიანი

გიორგი მუსხელიშვილი

შალვა ოგბაიძე

ლევან ჟორჟოლიანი

რევაზ სოხაძე

ვახტანგ შაქარიშვილი

ავთანდილ ცინცაძე

დავით ჭელიძე

ლევან ჯაფარიძე

ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდა - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე".

მომხსენებელი: ლევან მიქავა

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავამ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1199917000 ლარს, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 149614500 ლარით და დეტალურად ისაუბრა თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი შემოსულობების და ხარჯვით ნაწილზე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ის, რომ ოთხი წლის შემდეგ, ეს მოწვევის საკრებულო მომავალი მოწვევის საკრებულოს, მემკვიდრეობის სახით, უტოვებს მილიარდზე მეტი მოცულობის ბიუჯეტს". აქვე აღნიშნა, რომ მას აქვს გარკვეული შენიშვნები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და ისაუბრა მათზე: მართალია მისასალმებელია ის, რომ წინასაარჩევნოდ გაჟღერებული პრიორიტეტები ასახულია მომავალი წლის ბიუჯეტში, კერძოდ, პენსიონერებისთვის 500 ლარიანი ვაუჩერის გაცემისთვის საჭირო თანხები და ინფრასტრუქტურის მიმართულებით ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამის დაწყებისთვის გამოყოფილი 20000000 ლარი, თუმცა, პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, რესურსი ძალიან მცირეა და ამ ტემპით შეუძლებელი იქნება ვითარების გაუმჯობესება. მისი თქმით, პროგნოზირებადი შემოსავლიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო მეტი რესურსის გამოყოფა ამ მიმართულებით. ასევე, პროექტის წარმატებით ფუნქციონირებისთვის, აუცილებელია კერძო-საჯარო პარტნიორობის პრინციპის დანერგვა და ბიზნესისთვის საინტერესო წინადადებების წარდგენა. განაცხადა, რომ უმთავრეს გამოწვევად კვლავ რჩება კოვიდ პანდემია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და აქედან გამომდინარე, მიაჩნია, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტმა მიმდინარე სოციალურ პროგრამებთან ერთად, გამოყოს დამატებითი რესურსი კომუნალური სუბსიდირების მუხლში, რათა ადამიანებს შეუმსუბუქდეთ „ცივი სეზონის ტვირთი". მისი თქმით, პანდემიის და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, „ყოველი თეთრის ხარჯვა განსაკუთრებულად უნდა გაკონტროლდეს" და ამიტომ, მიზანშეწონილად არ მიაჩნია პიარის, რეკლამის და ღონისძიებების საორგანიზაციო ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა. ასევე, ბუნდოვანია ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების კუთხით გამოყოფილი ხარჯების რაციონალურობა. განაცხადა, რომ

საბურთალოს რაიონისთვის დიდი გამოწვევაა ინფრასტრუქტურულად სრულიად მოუწესრიგებელი და გაუმართავი სოფელი დიღომი და ბიუჯეტით წარმოდგენილი რამდენიმე პროექტის განხორციელება, ვერ შეძლებს საშუალო და, თუნდაც, გრძელვადიან პერიოდში პრობლემის აღმოფხვრას. სოფელ დიღომში, ამავდროულად, არის განვითარების დიდი რესურსი, მათ შორის, მიწის ფონდი, ძველი ნაგებობები და სხვა, რომელთა სწორად რეალიზაციიდან შემოსული თანხები შესაძლებელია მიმართული იქნას სოფელი დიღმის განვითარებისკენ. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ბიუჯეტი შედგება მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებისგან და ისურვა მეტი საჯაროობა და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, რაც მისი თქმით, თვითმმართველობის მთავარი პრინციპია.

ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ბაზაზე მოქმედებს პროექტი „მეგობრობის სახლი", რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული და მათთვის გამიზნული სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე ღირებული პროგრამა არის ქართული ენის შესწავლის კურსები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ადამიანების სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. აქვე აღნიშნა, რომ პროექტის „მეგობრობის სახლი" ფარგლებში დასაქმებული ადამიანების ხელფასები არის აბსოლუტურად არაადეკვატური იმ მიზნებთან შედარებით, რომელსაც ისინი ემსახურებიან და დააყენა ამ ადამიანებისთვის შრომითი ანაზღაურების გაზრდის წინადადება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში ქალაქისთვის ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და თბილისი გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე, რისი დადასტურებაც არის ის, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით 120000000-ზე მეტი ლარი მოხმარდება ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების მაქსიმალურ დაცვას და თბილისის ყველა რაიონის თანაბარ განვითარებას. მისი თქმით, მისასალმებელია, რომ ბიუჯეტში ასახულია წინასაარჩევნოდ დაპირებული პროექტების განხორციელება და თანხები სწორად არის გადანაწილებული პრიორიტეტების მიხედვით. გიორგი ჩაკვეტაძემ იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის განახლებულ პროექტში, რომელიც დეკემბერში წარედგინება საკრებულოს, ასახული იქნება სპორტისა და ახალგაზრული მიმართულებით არსებული რეკომენდაციები. საუბრის ბოლოს, ისურვა, რომ „არ შეჩერდეს განვითარების ტემპი და თბილისი გახდეს კიდევ უფრო განვითარებული, ევროპული ტიპის ქალაქი".

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ქალაქი ვითარდებოდეს თანაბრად და ამ მიმართულებით, ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში, გარკვეული ნიუანსები არის დასახვეწი, რაზეც საუბარი იყო, როგორც ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ასევე, ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სხდომაზე და იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის განახლებულ პროექტში გათვალისწინებული იქნება ამ მიმართულებით არსებული რეკომენდაციები. აქვე აღნიშნა, რომ გაკეთდა აეროპორტის გზა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა ამ გზაზე მიწისქვეშა გადასასვლელებით სარგებლობა ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. მისი ინფორმაციით, შპს „თბილსერვის ჯგუფს" მზად აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც აეროპორტის გზაზე არსებული ცხრა მიწისქვეშა გადასასვლელის კეთილმოწყობისთვის საჭიროა 1200000 ლარი და იმედი გამოთქვა, რომ ხსენებული თანხაც გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის განახლებულ პროექტში, რადგან არ შეიძლება ერთის მხრივ, გვქონდეს ევროპული სტანდარტის გზა და მეორეს მხრივ, ამ გზის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა შეუძლებელი იყოს.

დავით უთმელიძემ სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების, კომისიების და საკრებულოს წევრების შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ასახულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში და დეტალურად ისაუბრა მათზე.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 150000000 ლარით, ორიენტირებულია ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე და ქალაქისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც წლის დასაწყისში, ქალაქის მერმა და „ქართული ოცნების" გუნდმა წარადგინა, თუმცა, საკრებულოს მხრიდან, არის გარკვეული რეკომენდაციები რაიონების გამგეობების მიმართულებით და ასევე, სხვადასხვა პრიორიტეტებში კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ოთარ გრიგოლიამ იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის განახლებული პროექტი კიდევ უფრო კონსენსუალური იქნება და მადლობა გადაუხადა თითოეულ იმ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მის დაგეგმვაში.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ არის დღევანდელი რეალობა. მისი თქმით, „ამ ბიუჯეტს რომ მოისმენ, ისე გგონია, რომ ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობ და ამაზე ბედნიერი ქვეყანა მეორე არ ყოფილა". აღნიშნა, რომ პროდუქტებზე ფასები გაზრდილია, ფულს აქვს დაბალი მსიდველობითი უნარი და ბიუჯეტის ქება-დიდება მხოლოდ იმიტომ რომ გაიზარდა, მიუღებელია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1 (ვაჟა ოთარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე, თავი შეიკავა, თუმცა, ტექნიკური ხარვეზის გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა ვერ მიიღო და ითხოვა, მისი ხმის დაფიქსირება საკრებულოს სხდომის ოქმში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი